საქართველოს მთავრობის

დადგენილება №353

2013 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

რადიოფარმპრეპარატების საქართველოში იმპორტის განხორციელების შემდგომ შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტისა და 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული რადიოფარმპრეპარატების საქართველოში იმპორტის განხორციელების შემდგომ შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს-თან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა.

მუხლი 2

შემოსავლების სამსახურის მიერ ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისთვის წარდგენა განხორციელდეს რადიოფარმპრეპარატების საქართველოში იმპორტიდან 5 სამუშაო დღეში.

მუხლი 3

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რადიოფარმპრეპარატების საქართველოში იმპორტის განხორციელების შემდგომ შე-მოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის №146 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

რადიოფარმპრეპარატების საქართველოში იმპორტის განხორციელების შემდგომ შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა

1. რადიოფარმპრეპარატების საქართველოში იმპორტის განმახორციელებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები.

2. რადიოფარმპრეპარატების თანმხლები დოკუმენტების ასლები.